სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება №01-05-04/04

ქ. თბილისი 18 იანვარი 2024 წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად არჩევნების გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ღ“ ქვეპუნქტის და „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტები) არჩევნების ჩატარების შესახებ დებულების“ მე-3, მე-4, 22-ე და 23-ე მუხლების და აკადემიური საბჭოს 2024 წლის 18 იანვრის №01-05-02/03 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. გამოცხადდეს არჩევნები საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად.
2. არჩევნების შესახებ განცხადება პრესაში გამოქვეყნდეს 2020 წლის 26 იანვარს.
3. დანართი №1-ის შესაბამისად დამტკიცდეს განცხადება ბეჭდვითი მედიის ორგანოში გამოსაქვეყნებლად.
4. არჩევნებში მონაწილე პრეტენდენტთა რეგისტრაცია დაიწყოს 2024 წლის 2 თებერვალს და დასრულდეს 2024 წლის 9 თებერვალს.
5. პრეტენდენტთა სამოქმედო პროგრამების მოსმენა აკადემიურ საბჭოში გაიმართოს 2024 წლის 14 თებერვალს.

6. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად არჩევნები აკადემიურ საბჭოში ჩატარდეს 2024 წლის 16 თებერვალს.

7. ბიბლიოთეკის დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია პირს, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

ბ) აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება;

გ) აქვს ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება;

8. პრეტენდენტმა სარეგისტრაციოდ უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) განცხადება აკადემიური საბჭოს სახელზე;

ბ) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი და ასლი;

გ) სამეცნიერო-პედაგოგიური და ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) სამოქმედო გეგმა;

ე) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ვ) ავტობიოგრაფია (CV), გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების მითითებით;

ზ) 2 ფოტოსურათი,ზომით 3X4-ზე

თ) სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ ცნობა და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა.

9. დამტკიცდეს კანდიდატის სარეგისტრაციო ჟურნალის, განცხადების, საჩივრების სარეგისტრაციო ჟურნალისა და დამკვირვებელთა/მასმედიის წარმომადგენელთა სარეგისტრაციო ჟურნალის ფორმა თანდართული ნიმუშების შესაბამისად. სარეგისტრაციო ჟურნალები აიკინძოს, დაინომროს და დამოწმდეს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის და მდივნის ხელმოწერით.

10. დადგენილება ძალაშია უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.

11. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი.კუტუბიძე**